საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საქართველო – საპრეზიდენტო არჩევნები, მეორე ტური 28 ნოემბერი 2018

მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური კონკურენტურ გარემოში ჩატარდა და კანდიდატებს მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად წარემართათ წინასაარჩევნო კამპანია; თუმცაღა, ერთი მხარე საფუძველს მოკლებული უპირატესობით სარგებლობდა და ორივე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის უარყოფითი ხასიათი საფრთხის ქვეშ აყენებდა ზოგადად მთელ საარჩევნო პროცესს. არჩევნები კარგად იყო ადმინისტრირებული; თუმცა, არჩევნების მეორე ტურის ძირითადი ასპექტების მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობამ არ უზრუნველყო სამართლებრივი სიცხადე. წინასაარჩევნო კამპანია დააზარალა ხისტმა რიტორიკამ. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გაზრდილმა მასშტაბმა კიდევ უფრო წაშალა ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის. კერძო მედია საშუალებები კვლავაც ინარჩუნებდნენ მკვეთრად პოლარიზებულ და მიკერძოებულ პოზიციას მაშინ, როცა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ შეასრულა სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო და პროცესი დადებითად შეფასდა, თუმცა, აკენჭისყრის დღეს დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული ამომრჩეველთა ხმებზე თვალის მიდევნების ფაქტებმა გააძლიერა შეშფოთება ამომრჩეველთა პოტენციული დაშინების გამო.

28 ოქტომბერს გამართულ პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო „ნამდვილი ხმების“ 50 პროცენტზე მეტის მოპოვება, შესაბამისად არჩევნების მეორე ტური 28 ნოემბერს, ოთხშაბათს, დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება საკამათო აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების მოწოდება, გაეთვალისწინებინათ ოპოზიციური პარტიების პროტესტი. მეორე ტურის თარიღის გამოსაცხადებლად ცესკო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, თუმცა ამ გადაწყვეტილების გარშემო არსებული ფონი უარყოფითად აისახა პროცესში ჩართულ მხარეთა მხრიდან ცესკოს ნდობის ხარისხზე. მიუხედავად ამისა, არჩევნები კარგად იყო ადმინისტრირებული, ზოგადად ყველა ვადა დაცული იყო და ცესკომ დიდი ძალისხმევა გაიღო, რომ განმეორებითი ტრენინგების მეშვეობით არჩევნების პირველ ტურში წარმოშობილი პროცედურული ხარვეზების აღმოფხვრა მოეხდინა.

სამართლებრივი ჩარჩო არასაკმარისად არეგულირებს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. წინასაარჩევნო კამპანიის, მათ შორის მედია საშუალებებით, წარმოების ბუნდოვანმა რეგულაციებმა, არათანმიმდევრული და წინააღმედგობრივი ინტერპრეტირების საშუალება წარმოშვა და არ შეუწყო ხელი სამართლებრივ სიცხადეს. არსებობას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებები არ ეხმიანება არც წინა

წლებში ჩატარებული ორტურიანი არჩევნების შედეგად დაფიქსირებულ ხარვეზებს და არც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ადრეულ რეკომენდაციებს კანონში მეორე ტურის წარმართვასთან დაკავშირებული ზუსტი რეგულაციების შეტანის შესახებ.

მეორე ტურის მოსამზადებელ პერიოდში წინასაარჩევნო კამპანია მკვეთრად გააქტიურდა. დაფიქსირდა ცალკეული ძალადობრივი ინციდენტები. ჩატარდა რამდენიმე ანტიოპოზიციური და ანტისამთავრობო დემონსტრაცია, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ოპონენტთა შორის არსებული დაძაბულობა. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო უარყოფითი, ხისტი და ზოგჯერ ძალადობრივი რეტორიკის დომინირება, რომელზეც არცერთ სახელმწიფო უწყებას არ მოუხდენია რეაგირება. კამპანიის მიმდინარეობისას დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები და გაკეთდა განცხადება რამდენიმე სოციალური თუ ფინანსური პროგრამის დაწყების შესახებ. კერძოდ კი, სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარესთან დაკავშირებული ფინანსური ორგანიზაციის მიერ 600 000 მოქალაქისთვის ვალების ჩამოწერის შესახებ. აღნიშნული შემთხვევები და , სახელისუფლებო პარტიის მაღალი თანამდებობის პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობამ, კიდევ უფრო წაშალა ზღვარი სახელმწიფოსა და პარტიას შორის. ამომრჩეველთა პირადი მონაცემების შეგროვებისა და მათი პოლიტიკური უპირატესობების დეტალურად შესწავლის მიზნით და ასევე კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმებზე თვალის მიდევნებამ წარმოშვა დაშინების პოტენციური და შეშფოთებას საფუძველს ქმნის, რადგან სავარაუდო ანგარიშსწორების შიშის გამო ამომრჩევლები ვერ შეძლებენ თავისი ხმის თავისუფლად დაფიქსირებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებისა (OSCE) და ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებით.

არჩევნების მეორე ტურისთვის წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ ანგარიშების მომზადების მოთხოვნის კრიტერიუმები განისაზღვრა მხოლოდ არჩევნების დღის გამოცხადებამდე დარჩენილ ორ კვირაზე ნაკლებ ვადაში. მეორე ტურისთვის მოსამზადებელ პერიოდში შენარჩუნდა შემოწირულობებს შორის მკვეთრი უთანასწორობაც სახელისუფლებო პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ, რაც ასევე შეინიშნებოდა პირველ ტურში მესამე მხარეებს არ გააჩნიათ წინასაარჩევნო აქტივობების შესახებ ანგარიშების მომზადების ვალდებულება, მათ შორის არც სახალხო საპროტესტო მოძრაობის შესახებ, რაც ძირითადად სახელისუფლებო პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატს აძლევდა ხელს. ორივე კანდიდატმა მიიღო მხარდაჭრა იმ პოლიტიკური პარტიებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ მეორე ტურში და მათ მიერ გაღებული დანახარჯები აღურიცხავი დარჩა. ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების თაობაზე ორივე ტურისთვის წარდგენილი საჩივრების განხილვა მეორე ტურის გამოცხადემადე გაგრძელდა, შეშფოთების საფუძველს ქმნიდა და აძლიერებდა უნდობლობას წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი წესების აღსრულების ეფექტურობისადმი.

მეორე ტურის მარეგულირებელი კანონმდებლობის ბუნდოვანებამ მედია საშუალებებში კანონის სხვადასხვაგვარად განმარტების საფუძველი წარმოშვა. მიუხედავად იმისა, რომ

კანონით არ არის გათვალისწინებული, ეროვნული მაუწყებლების უმეტესობამ უფასო საეთერო დრო ორივე კანდიდატს დაუთმო. ეროვნულმა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მკვეთრად წარმოაჩინა მიკერძოებულობა, რომელიც ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ მიმართულ პოზიციაში გამოიხატა, და თავის გადაცემებში არ შეასრულა სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. კერძო მედია საშუალებები კვლავაც ინარჩუნებდნენ მკვეთრად პოლარიზებულ პოზიციას და რეპორტაჟებში ღიად წარმოაჩენდნენ მიკერძოებულობას. რამდენიმე მათგანმა უფრო თამამად გააჟღერა თავისი პოლიტიკური პოზიცია.

არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ დაახლოებით 700 საჩივარი იქნა შეტანილი, რომელთა უმეტესობაც ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესში დაფიქსირებულ პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა. პროცედურული დარღვევების შესახებ მომზადებულ საჩივართა დიდი რაოდენობა ბათილად იქნა მიჩნეული, რაც ადასტურებს იმას, რომ მომჩივნებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა საჩივრებისა და სარჩელების მოსამზადებლად აუცილებელი პროცედურების შესახებ. ზოგადად კი, საჩივრების განხილვისას ნაკლებად იყო გათვალისწინებული კონტექსტი, კომისიები კი კანონის ძალიან ვიწრო და არათანმიმდევრულ განმარტებებს ეყრდნობოდნენ, რამაც საერთო ჯამში ზეგავლენა იქონია სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალების გამოყენების უფლებაზე, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას.

საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებსა და მედიის საშუალებების აკრედიტაცია მეორე ტურის განმავლობაშიც გაუგრძელდათ. იმ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, რომლებიც მეორე ტურში არ მონაწილეობენ, არ აქვთ უფლება დამკვირვებლებად თავისი წარმომადგენლები წარგზავნონ. შედეგად საკმაოდ ბევრმა პარტიულმა აქტივისტმა მიიღო ადგილობრივი დამკვირვებლის აკრედიტაცია, რამაც კიდევ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ადგილობრივ დამკვირვებელთა დამოუკიდებლობის აღქმაზე.

კენჭისყრის დღე პროცედურების დაცვით, მაგრამ დაძაბულ კონკურენტულ გარემოში ჩატარდა, თუმცა, დაფიქსირდა რამდენიმე ძალადობრივი შემთხვევა, რომელთა გამოძიებაც ძალოვანმა სტრუქტურებმა უკვე დაიწყეს. საარჩევნო უბნების გახსნა, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესები თითქმის ყველა საარჩევნო უბანში, რომლესაც დამკვირვებლები დააკვირდნენ, დადებითად შეფასდა, თუმცა შემაშფოთებელია საარჩევნო უბნებს გარეთ დაფიქსირებული გარემო, რასაც შესაძლოა ზემოქმედება მოეხდინა ამომრჩევლების შესაძლებლობაზე, თავისუფლად და ანგარიშსწორების შიშის გარეშე გაეკეთებინათ არჩევანი. ხშირ შემთხევაში საარჩევნო უბნებს გარეთ იკრიბებოდნენ ამომრჩეველთა სიებით შეიარაღებული კანდიდატების მხარდამჭერები, რომლებიც ინიშნავდნენ, თუ ვინ მოვიდა ხმის მისაცემად. საერთაშორისო დამკვირვებლების დაკვირვებით პროცედურები ზოგადად კარგად იყო დაცული, თუმცა არსებობს თვალნათელი მინიშნება იმისა, რომ ადგილობრივი დამკვირვებლები და მედია საშუალებები პოლიტიკური პარტიების სახელით მოქმედებდნენ. დაფიქსირდა მათი

მხრიდან ხმების დათვლის პროცესში ჩარევის მცდელობები. ზოგადი შეფასებით ხმების გადათვლის პროცესი ეფექტური, გამჭვირვალე და კარგად ადმინისტრირებული იყო.

წინასწარი მიგნებები

არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები

14 ნოემბერს ცესკომ არჩევნების პირველი ტურის საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა. რადგან ვერცერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო პირველ ტურში გამარჯვების მოსაპოვებლად აუცილებელ ხმათა 50 პროცენტზე მეტის მიღება, არჩევნების მეორე ტური დაინიშნა 28 ნოემბერს, ოთხშაბათს. ამ საკითხთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსში არსებულმა ბუნდოვანებამ, ცესკოს შიგნით წარმოშობილმა უთანხმოებამ და ასევე ცესკოსა და პოლიტიკურ აქტორებთან და ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფებს შორის წარმოქმნილმა დავამ, მეორე ტურის ჩატარების თარიღის შესახებ გადაწყვეტილება სადავო საკითხად აქცია (იხ. *სამართლებრივი ჩარჩო).*

პირველი ტურის შემდეგ ორმა მოწინავე კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა (დამოუკიდებელი, პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი), რომელმაც ხმათა 38.64 პროცენტი მიიღო და გრიგოლ ვაშაძემ (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ენმ), რომელმაც ხმათა 37.74 პროცენტი მოიპოვა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება[1]. მესამე ადგილზე გასულმა კანდიდატმა, დავით ბაქრაძემ და მისმა პარტიამ („ევროპული საქართველო“) მის მიერ მოპოვებული 10.97 პროცენტით, და ასევე „რესპუბლიკურმა პარტიამ“ გრიგოლ ვაშაძეს საჯაროდ აღუთქვეს მხარდაჭერა. რამდენიმე სხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერმა არაპირდაპირ დაუჭირა მხარი ერთ ან მეორე კანდიდატს: საქართველოს ლეიბორისტული პარტია ბ-ნ. ვაშაძეს უჭერს მხარს, „პატრიოტთა ალინასი“ კი ქ-ნ.ზურაბიშვილს.

მეორე ტურამდე პერიოდი გამოირჩეოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციებით და ანტისამთავრობო მანიფესტაციების სიმრავლით, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი დაძაბული წინასაარჩევნო გარემოს არსებობას„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა რამდენიმე სახალხო მოძრაობამ რამდენიმე დემონსტრაცია გამართა მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი უარყოფით კონტექსტში იყო მოხსენებული. ამავე დროს, მთავრობის წინააღმდეგ მიმართულმა ქუჩის საპროტესტო აქციებმა, რომლებიც 2018 წლის ივნისში დაიწყო და დაკავშირებულია ორი არასრულწლოვნის მკვლელობის საქმეებთან, მეორე ტურის წინ ისევ მოიკრიბა ძალა

[1] წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ათი სხვა მცირე პარტიის მიერ ჩამოყალიბებულმა კოალიციამ გრიგოლ ვაშაძე „გაერთიანებული ოპოზიციის“ (რომელსაც ასევე „ძალა ერთობაშია“ ეწოდება) საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა.

თბილისში 10 ნოემბერს გამართულ დემონსტრაციაზე[2]. დემონსტრაციის მიმდინარეობისას აქციის მონაწილეებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა. თბილისში „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბთან პერიოდულად იმართებოდა ოცამდე მონაწილისგან შემდგარი რამდენიმე მცირე ანტისამთავრობო დემონსტრაცია.

სამართლებრივი ჩარჩო

არსებული სამართლებრივი ჩარჩო არ ითვალისწინებს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისთვის აუცილებელ ასპექტებს. ბოლო დროს საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით არ მოხდა წინა ორტურიანი არჩევნების დროს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) იმ ადრეული რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც ეხებოდა მეორე ტურის გასამართად აუცილებელ სამართლებრივ ჩარჩოში უფრო მეტი სიცხადის შეტანასრაც წარმოადგენს დაკარგულ შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მოთხოვნები ზოგადად არჩევნების ორივე ტურზე ვრცელდება, ზოგიერთი საკითხი, მათ შორის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და მედიის შესახებ, კვლავაც ბუნდოვანი რჩება, რამაც კანონის არათანმიმდევრული და ურთიერთგამომრიცხავი განმარტებების შესაძლებლობა წარმოშვა და არ უზრუნველყო სამართლებრივი სიცხადე.

არასაკმარისი სამართლებრივი რეგულაციებისა და ძველი პრაქტიკის საფუძველზე, ცესკომ მეორე ტურის ჩატარების თარიღის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე გამოსცა დადგენილება, რომლითაც მეორე ტურის რამდენიმე ასპექტის დარეგულირება მოხდა. ამ დადგენილებით განისაზღვრა, თუ როგორ უნდა განახლებულიყო ამომრჩეველთა ერთიანი სია, გახანგრძლივებულიყო მოქმედი საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება და დამკვირვებელთა აკრედიტაცია და ამასთანავე როგორ უნდა შეწყვეტილიყო იმ პარტიების, საინიციატივო ჯგუფებისა და კანდიდატების წარმომადგენელთა უფლებამოსილება, რომლებიც აღარ იღებენ მონაწილეობას არჩევნების მეორე ტურში.

რამდენიმე შემთხვევაში ცესკომ თავის დადგენილებაში განმარტა კანონი პროცედურების გაწერისას. მაგალითად: ცესკოს დადგენილება მხოლოდ მეორე ტურში მონაწილე პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებსა და კანდიდატებს აძლევს უფლებას თავისი წარმომადგენლები ჰყავდეთ საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე, რაც კანონში ნათლად არ არის გაწერილი,. კომისიის წევრთა შორის პოლიტიკური თანასწორობის გასაზრდელად, ცესკომ ცვლილებები შეიტანა პროცედურებში, რითიც მხოლოდ მეორე ტურში მონაწილე ოპონენტებს მისცა შესაძლებლობა დახმარება გაუწიონ კომისიის

[2] დემონსტრაციის შესახებ მოწოდება გაკეთდა მას შემდეგ, რაც თბილისის მერმა აქციის ლიდერებს სთხოვა 7 დეკემბრიდან საპროტესტო აქცია სხვა ადგილას გადაეტანათ, რადგან არსებული ლოკაცია საახალწლო ღონისძიებებისთვის არის განკუთვნილი. აქციის ლიდერებმა საჯაროს განაცხადეს უარი და 9 ნოემბერს ომბუცმენმა მოუწოდა სახელმწიფო უწყებებს „თავი შეეკავებინათ ხელოვნური ბარიერების შექმნისაგან და აქციის მონაწილეებისთვის მიეცათ მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა".

წევრებს[3]. ამას გარდა, მაშინ როცა საარჩევნო კოდექსი ყველა საარჩევნო უბნისთვის განსაზღვრავს ერთსა და იმავე სამუშაო დროს, ცესკომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე საარჩევნო უბნებს სამუშაო საათები გაუხანგრძლივა, რათა ამომრჩევლებმა სამუშაო საათების დასრულების შემდეგ შეძლონ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისვლა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორმა ორგანიზაციამ ეჭვქვეშ დააყენა აღნიშნული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა. ამ დადგენილებით მოხდა გარკვეული საარჩევნო პროცედურების ვადების შემოკლება, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს, რომელიც მხოლოდ ზოგად ვადებს აწესებს და არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადებს არჩევნების პირველი და მეორე ტურისთვის ცალ-ცალკე [4].

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ნათლად განმარტავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური კვირა დღეს უნდა ჩატარეს, მეორე ტურის შესახებ გაკეთებული ჩანაწერები ორაზროვანია და სხვადასხვაგვარი განმარტების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რამაც არასაჭირო დაბნეულობა გამოიწვია. საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლი ამბობს, რომ არჩევნების მეორე ტური უნდა ჩატარდეს პირველი ტურის შედეგების გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე. ცესკოს გადაწყვეტილებით არჩევნების მეორე ტური კვირის სამუშაო დღეს ჩატარდა. სამმა პოლიტიკურმა პარტიამ ცალ-ცალკე გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და არგუმენტად ცესკოს მხრიდან კანონის ვიწრო განმარტება, კანონის სულისკვეთება დაქვეითება და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის შიგნით და გარეთ მცხოვრები მოქალაქეების გარკვეული ჯგუფებისთვის ხმის მიცემის უფლების შეუზღუდა[5]. სასამართლოებმა ზემოთაღნიშნული არცერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა და, ცესკოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების საბოლოო შედეგების გამოსაცხადებლად და მეორე ტურის დასანიშნად ცესკოს 20 დღე ჰქონდა. 14 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით ყველა საჩივრის განხილვა დასრულდა, ცესკომ გამოაცხადა, რომ მეორე ტური 28 ნოემბერს ჩატარდებოდა. არჩევნების თარიღის გამოცხადებას მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რადგან გამოითქვა მოსაზრება, რომ მეორე ტურის ჩატარების თარიღი „ქართული ოცნების“ ლიდერებთან შეთანხმებით შეირჩა[6]. გამოცხადების წინ, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები ცესკოს მოუწოდებდნენ, მეორე ტური უქმე დღეს

---

[3] ამ ცვლილებამ სახელისუფლებო პარტიის მიერ დასახელებული კომისიის წევრების რაოდენობა ერთამდე შეამცირა.

[4] მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლი ამბობს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სპეციალური სიების შედგენა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს კენჭისყრის დღემდე 5 დღით ადრე, დადგენილება 52/2018 ახალ, სამდღიან ვადას აწესებს. ეს დადგენილება ასევე ამოკლებს საერთაშორისო დამკვირვებელთა დასახელების პერიოდსაც, რაც კენჭისყრის დღემდე 5 დღის ვადით განისაზღვრა მაშინ, როცა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია ვადა კენჭისყრის დღემდე არაუმეტეს 2 დღით ადრე.

[5] “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო და „საქართველო“. „საქართველომ“ განაცხადა, რომ ცესკოს არ ჰქონდა უფლება არჩევნების მეორე ტური დაენიშნა, რადგან ქ-ნ. სალომე ზურაბიშვილის რეგისტრაციის საკითხის განხილვა სასამართლოში ჯერაც არ დასრულებულა.

[6] 14 ნოემბერს გაკეთებულ განცხადებაში ცესკომ ყველა ბრალდება უარყო.

დაენიშნა[7]. კანონის მოთხოვნათა მიხედვით კენჭისყრის დღე უქმე დღედ უნდა გამოცხადდეს, თუმცა ზოგიერთი ოპოზიციური პარტია დავობდა, რომ კენჭისყრის სამუშაო დღეს ჩატარებით, მაშინაც კი, თუ ის უქმე დღედ გამოცხადდებოდა, ხელი შეეშლებოდათ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებსა და ქვეყნის შიგნით მცხოვრებ ზოგიერთ ამომრჩეველს, რომელსაც ხმის მისაცემად ქვეყნის შიგნით გადაადგილება სჭირდება[8]. ამ საკითხთაგან ერთ-ერთის მოგვარების მიზნით, ცესკომ საზღვარგარეთ არსებული საარჩევნო უბნებისთვის სამუშაო საათები გაზარდა[9]. მეორე ტურის თარიღის გამოსაცხადებლად ცესკო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, თუმცა ამ გადაწყვეტილების გარშემო არსებულმა ნეგატიურმა ფონმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია პროცესში ჩართული მხარეების ცესკოს მიმართ ნდობაზე.

ცესკოს მიმართ ნდობის შესუსტების მიუხედავად, არჩევნები, ზოგადად, კარგად იყო ადმინისტრირებული და დაცული იყო ყველა ვადა. ცესკომ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე შეინარჩუნა იგივე სტრუქტურა და შემადგენლობა. პირველი ტურის მსგავსად, არჩევნები ისევ არ ჩატარებულა სოხუმისა და ცხინვალის რეგიონებში. ამას გარდა, ცესკომ უფლებამოსილება გაუხანგრძლივა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს. პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა ჰქონდათ 23 ნოემბრამდე შეეცვალათ მათ მიერვე დასახელებული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, პირველ ტურში დასაქმებული წევრების თითქმის 10 პროცენტი შეიცვალა. თუმცა უმეტესობამ არჩია პირველ ტურში დასახელებული წევრები შეენარჩუნებინა[10]. საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებშიც არაპარტიულმა წევრებმა კომისია დატოვეს, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ვაკანტური თანამდებობები ღია კონკურსების მეშვეობით შეავსეს.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ჩაატარა ტრენინგები მეორე ტურის კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების შესახებ. ტრენინგებს დააკვირდნენ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლები. მათი დაკვირვებით ტრენინგები ინფორმაციული და ინტერაქტიული იყო და შეეხებოდა იმ რამდენიმე პროცედურულ ხარვეზს, რომლებიც პირველი ტურის მიმდინარეობისას დაფიქსირდა საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დათვლის, შედეგების ოქმების შევსების, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვისა და საჩივრების განხილვის თაობაზე.

მეორე ტურისთვის ამომრჩეველთა სია განახლდა, რაც გარდაცვლილი პირების

---

7 იხ. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (GYLA) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI) 14 ნოემბერს გაკეთებული ერთობლივი განაცხადი.

8 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოთქმული ვარაუდით, გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო მთავრობის სურვილთან კენჭისყრის დღედ არ გამოცხაებულიყო 1 დეკემბერი, რადგან სწორედ ამ დღეს სრულდებოდა მცირეწლოვნების მკვლელობის დღიდან ერთი წელი.

9 საერთაშორისო გამჭვირვალობამ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილებულა.

10 პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული საუბნო საარჩევნო კომისიების 21 864 წევრიდან 2 081წევრი შეიცვალა.

მონაცემების ამოღებას და 18 წელს მიღწეული პირებისა და რეგისტრაციის შეცვლილი მონაცემების მქონე პირების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებას გულისხმობდა[11]. ამომრჩევლებს მიეცათ ამომრჩეველთა სიაში თავისი მონაცემების გადამოწმების ხანმოკლე შესაძლებლობა, რაც ცესკოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით იყო შესაძლებელი, თუმცა სიაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა არ იყო გათვალისწინებული. ის ამომრჩევლები, რომლებიც პირველ ტურში დარეგისტრირებულები იყვნენ, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი მოქალაქეები, ავტომატურად დარეგისტრირდნენ მეორე ტურის სიაში. სხვა ამომრჩევლებს კი შესაძლებლობა მიეცათ 1-დან 11 ნოემბრამდე დარეგისტრირებულიყვნენ დიპლომატიური მისიების ან ელექტრონული ფორმის მეშვეობით.

20 ნოემბერს ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ერთობლივი განაცხადი გააკეთეს, რომელშიც ვარაუდს გამოთქვამდნენ, რომ სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტო ყალბ პირადობის მოწმობებს ბეჭდავდა[12]. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო, რომელიც ახლაც მიმდინარეობს. ნაჩქარევად გაკეთებულ საჯარო განცხადებაში მთავარმა პროკურატურამ ეჭვქვეშ დააყენა წარმოდგენილი მტკიცებულებები და არაპირდაპირ მიანიშნა სამოქალაქო საზოგადოების წარმომდგენელ ორგანიზაციებს, რომ მათი მხრიდან სავარაუდოდ მცდარი განცხადებების გავრცელება შესაძლოა სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი გამხდარიყო[13].

წინასაარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო კამპანიის რეგულირების საკითხები და აგრეთვე კამპანიის დაწყების თარიღი ბუნდოვანი იყო, რადგან საარჩევნო კოდექსში არ არის გაწერილი შესაბამისი დებულება,ცესკოს კი ამ საკითხთან დაკავშირებით ნორმატიული აქტი არ გამოუცია. ცესკოს განმარტებით, წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო პირველი ტურის შედეგების გამოცხადებისთანავე, ხოლო ამ თარიღამდე ინტერვალი კი არ იყო რეგულირებული. თუმცაღა, პრაქტიკაში, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა პირველი ტურის დასრულებისთანავე განაახლეს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება, რის შედეგადაც

---

[11] ცესკოდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 13 619 ამომრჩეველი დაემატა სიებს, მათ შორის იყო 3 500 პირი, ვისაც შეუსრულდა 18 წელი და 9 430 პირი, ვინც სამოქალაქო რეესტრში მონაცემები განაახლა. სიას სულ 3 838 პირი გამოაკლდა, მათ შორის 3 607 გარდაცვლილი.

[12] განაცხადის მიხედვით სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომელმა ინფორმაცია მიაწოდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს იმის შესახებ, რომ სავარაუდო გეგმის მიხევით ერთი პირი რამდენიმე უბანზე სხვადასხვა პირადობის მოწმობით შეძლებდა ხმის მიცემას. იუსტიციის მინისტრმა და სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ დაგმეს ეს ბრალდებები და განაცხადეს, რომ არასამთავრო ორგანიზაციები „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიყვანა შეცდომაში.

[13] 22 ნოემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარდგენა. 23 ნოემბერს ჩვიდმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადების გამო, რომელიც სავარაუდოდ არაპირდაპირ მიუთითებდა ადამიანის უფლებების დამცველთა სისხლისსამართლის პასუხისმგებლობაზე.

კამპანია არაოფიციალურად და არარეგულირებულად მიმდინარეობდა.

მეორე ტურამდე პერიოდი ხასიათდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურებით, ამომრჩეველთა უფრო მასშტაბიანი მობილიზებით და მეორე ტურში მონაწილე მხარეებს შორის დაძაბულობის ზრდით, როგორც ეროვნულ ასევე ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) წარმოდგენლებთან საუბრისას, პროცესში ჩართული მხარეები აღნიშნავდნენ, რომ არჩევნები აღარ წარმოადგენდა ორ კანდიდატს შორის არჩევანის გაკეთებას, არამედ დამესგავსა რეფერენდუმს, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრებოდა ქვეყნის სათავეში არსებული მმართველი ძალა. მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ფუნდამენტური თავისუფლებები ზოგადად უზრუნველყოფილი იყო და კანდიდატებს მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად ეწარმოებინათ საარჩევნო კამპანია. თუმცაღა, დაფიქსირდა ცალკეული ძალადობრივი შეტაკებები „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის, რომლეთა გამოძიება მიმდინარეობს[14]. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მის კოალიციაში შემავალი პარტნიორები ეჭვქვეშ აყენებდნენ გამოძიების ხარისხს. მათი აღქმით, სახელმწიფო უწყებები განზრახ ცდილობენ მიმართონ ყველაზე მსუბუქ სანქციებს.

წინასაარჩევნო კამპანიის შეკრებებისას, რომელებსაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (ODIHR) აკვირდებოდა და აგრეთვე საჯარო გამოსვლების დროს კანდიდატები ცდილობდნენ ყურადღება კამპანიის კონკრეტულ გზავნილებზე გაემახვილებინათ, რომლებიც წარმოაჩენდნენ მათ გამაერთიანებელ უნარს, ასევე საქართველოს, ტერიტორიული ერთიანობის საკითხსა და სოციალურ და ეკონომიკურ პროექტებს[15]. თუმცაღა, უფრო ფართო კონტექსტში ეს ძალისხმევა გადაფარული იყო ნეგატიური კამპანიის გამწვავების ფაქტებითა და სახელისუფლებო პარტიასა და „ერთიან ნოციონალურ მოძრაობის“ მეთაურობით ჩამოყალიბებულ კოალიციას შორის გაჟღერებული მძიმე ბრალდებებით. მეორე ტურამდე ჩატარებული საჯარო დემონსტრაციები წინასაარჩევნო კამპანიის განუყოფელი ნაწილი იყო და ფართოდ გამოიყენებოდა ნეგატიური კამპანიის საწარმოებლად. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ამჯერადაც დომინირებდა სადავო თემები, რომელთა მიმართაც ქართული საზოგადოება, როგორც ჩანს, მეტისმეტად მგრძნობიარეა[16]. შედეგად, თითქმის აღარ რჩებოდა შესაძლებლობა წინასწარ გაწერილი წინასაარჩევნო პროგრამის წარმოსადგენად და მნიშვნელოვან საკითხებზე ორიენტირებული დებატების გასამართად, რაც კიდევ

[14] ძალადობრივი ფიზიკური დაპირისპირება დაფიქსირდა „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და აქტივისტებს შორის ახალქალაქში 30 ოქტომბერსა და 6 ნოემბერს და კასპსა და მარნეულში - 29 ოქტომბერს.

[15] საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რაც ნოემბრის დასაწყისში ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ ღობის აღმართვამ გამოიწვია. ორივე კანდიდატი ეწვია იმ ადგილს, სადაც ღობის აღმართვა მოხდა, და აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა არ მოხდეს ამ ღობის ოფიციალურ საზღვრად გამოცხადება.

[16] პირველ ტურში გაჟღერებული თემების (მაგ: ეროვნული ისტორიული მოვლენების აღქმა და მარიხუანას მოყვანის შესახებ კანონპროექტი) გარდა, ყველაზე ხშირად განიხილებოდა საფუძველს მოკლებული ორმხრივი ბრალდებები რუსეთთან პოლიტიკური კავშირების შესახებ.

უფრო მეტად ასუსტებდა ამომრჩეველთა შესაძლებლობას, გაეკეთებინათ გაცნობიერებული არჩევანი.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) თვალთახედვის არეში მოექცა საყოველთაოდ გავრცელებული ძალზედ აგრესიული და ძალადრობრივი რიტორიკა, რომელიც ისმის სატელევიზიო გადაცემებში, სოციალურ ქსელებსა და დემონსტრაციების დროს და ასევე პარტიის მაღალჩინოსანი წევრებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ გაკეთებული ცალკეულ განცხადებებში. გაკეთდა რამდენიმე განცხადება, რომელშიც არჩევნები სამოქალაქო ომთან იყო შედარებული და ოპონენტების განადგურებისკენ მოუწოდებდა, რაც ქსენოფობიისა და სიძულვილის წახალისების ზღვარზე იდგა[17]. საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, არ არსებობს სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი კანონმდებლობა და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებებს არ დაუწყიათ აღნიშნული შემთხვევების მოკვლევა, რათა დაედგინათ ეს განცხადებები მართლაც შეიცავდა, თუ არა სიძულვილის ენას[18]. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკასთან. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლება დაგმეს ეს განცხადებები.

სამწუხაროა, რომ პირველსა და მეორე ტურს შორის მოიმატა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებმა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეები სახელმწიფო უწყებების ოფიციალურ ვებგვერდებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნით

---

17 დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თვალთახედვის არეში მოექცა ის ფაქტი, რომ „ერთიანო ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს პერიოდულად „მოღალატედ“ მოიხსენებენ, „ქართულ ოცნებას“ კი - „ამორალურ შეიარაღეულ ბანდად“. მთელი ქვეყნის მასშტაბით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციაზე კი „ენმ“ შედარებული იყო „ნაცისტებთან, ტერორისტებთან და სატანასთან“, დემონსტრაციების ორგანიზატორები კი დამსწრე საზოგადოებას „ენმ“-ს „განადგურებისა და მიწასთან გასწორებისკენ“ მოუწოდებდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები „ენმ“-ს პერიოდულად „სისხლიან დანაშაულებრივ რეჟიმად“ მოიხსენებდა, მათ ნანატრ გამარჯვებას კი „სამოქალაქო ომად და შურისძიებად“ რაცხავდნენ. მიხეილ სააკაშვილმა ორი განცხადება გაავრცელა, რომლებიც მცდარი შეგონებებითა და დისკრიმინაციული რიტორიკით გამოირჩეოდა ებრაული სათვისტომოსა და ბანგლადეშელი და ინდოელი ხალხის მიმართ და შეიცავდა რელიგიურ, ეროვნულ ან ეკონომიკურ საფუძველზე გაკეთებულ კომენტარებს. საარჩევნო პროცესში ჩართულ რამდენიმე დაინტერესებულ პირ, მათ შორის ერთ-ერთკანდიდატს სიცოცხლის მოსპობით დაემუქნენ.

18 ევროპის საბჭო, მინისტრტა კომიტეტი, რეკომენდაცია ნომერი R (97) 20 1997 ამბობს, რომ „სიძულვილის ენად უნდა იყოს მიჩნეული გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ავრცელებს, აღვივებს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობის საფუძველზე წარმოშობილი სიძულვილის სხვა ფორმებს“. ის ასევე ამბობს, რომ „წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ ან შეინარჩუნონ ჯანსაღი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაეყრდნობა სამოქალაქო, სისხლისამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის დებულებებში სიძულვილის ენის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერებს“.

იყენებდნენ[19]. რამდენიმე მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა მეორე ტურის ჩატარების თარიღის გამოცხადებამდე პერიოდში, რომელიც არ იყო დარეგულირებული კანონმდებლობით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ პერიოდის კანონით დარეგულირების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ არის აკრძალული, „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში ისევ აქტიურად მონაწილეობდნენ სახელისუფლებო პარტიის მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეები[20].

გარდა ამისა, პირველსა და მეორე ტურს შორის არსებულ პერიოდში საქართველოს მთავრობამ მოსახლეობას რამდენიმე სოციალური პროექტისა და სოციალური შემწეობების პროგრამის დაწყების შესახებ აცნობა, რომლებიც უმეტესწილად მოწყვლადი ჯგუფებისთვის იქნება განკუთვნილი, რაც კიდევ უფრო დიდი შეშფოთების საგანი გახდა, რადგან შესაძლოა საქმე გვქონდეს სავარაუდო კანონდარღვევასთან[21]. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული პროექტებიდან რამდენიმე მთავრობის ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის ნაწილია იმ ფაქტმა, რომ მათ შესახებ განცხადება სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გაკეთდა, უსამართლოდ უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენე „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი[22]. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობამ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, რომელშიც ის მოსახლეობას ვალების ჩამოწერას დაჰპირდა. საქართველოს 600 000 მოქალაქე 1.5

---

19 საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, რომლებშიც საუბარი იყო, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გარკვეულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამართულ ღონისძიებებს ჰგავდა.

20 პრემიერ მინისტრის, ჯანდაცვის მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისა და თბილისის მერის პორტრეტები გამოჩნდა სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიის სარეკლამო დაფებსა და ტელევიზიით გასულ პოლიტიკურ რეკლამებში.

21 1-დან 19 ნოემბერამდე პერიოდში მთავრობამ რამდენიმე სოციალური პროექტის დაწყებაზე გააკეთა განცხადება. მათ შორის იყო სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ყოველთვიური შემწეობის 50 ლარამდე გაზრდა, დასაქმების შემთხვევაში სოციალურად დაუცველი პირებისთვის ფულადი და არაფულადი შემწეობის გახანგრძლივება, მთიან რეგიონებში სოციალურად დაუცველი პირების სიის გაზრდა, სამხედრო მოსამსახურეთათვის ხელფასების გაზრდა და 2020 წლამდე ბინებით უზრუნველყოფა. ამასთანავე, რამდენიმე რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია. მაგ: ხელფასების 10-პროცენტიანი ზრდა 2019 წელს მერიასთან არსებული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა არაკომერციული იურიდიული პირის თანამშრომლებისთვის ახალქალაქში (სამცხე-ჯავახეთი), გზების, სკოლებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ან შეკეთება ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში და შიდა ქართლში.

22 საარჩევნო კოდექსის 29.4 მუხლის მიხედვით, „არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობის გაზრდა. გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე. (...) „იხ. აგრეთვე მუხლი 49.3, რომელიც ამბობს, რომ „არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით.

მილიარდი ლარის ოდენობის ვალს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან დაკავშირებული კერძო საფინანსო უწყება დაუფარავს, რაც შესაძლოა გაუთანაბრდეს ხმების ყიდვის ფაქტს.ხმების ყიდვა აკრძალულია საარჩევნო სისხლისსამართლის კოდექსებით.[23]. ყველა ზემოთ აღნიშნულმა ქმედებამ კიდეც უფრო წაშალა ზღვარი სახელმწიფოსა და პარტიას შორის, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან[24].

ორივე პოლიტიკურმა ძალამ გააძლიერა ძალისხმევა ამომრჩეველთა მოსაზიდად, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. კარდაკარ შემოვლის პრინციპით ჩატარებული გამოკითხვა და მცირე მასშტაბის შეკრებები იმართებოდა თითქმის ყოველ დღე. ორივე პარტია ეყრდნობოდა ე.წ. პარტიის კოორდინატორების მექანიზმს, რომლებსაც კონკრეტულ ტერიტორიულ სივრცეში დაევალათ იქ მაცხოვრებელი ამომრჩევლების პოლიტიკური უპირატესობების გამოვლენა. თუმცაღა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართულმა მხარემ მისიის ინფორმაცია მიაწოდა იმის თაობაზე, რომ სახელისუფლებო პარტია ამ მექანიზმს ზეწოლასა და დაშინებასთან ერთად იყენებს განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებულებსა და სახელმწიფო შემწეობებზე დამოკიდებულ ადამიანებზე ზემოქმედების მიზნით [25]. მიუხედავად იმისა, რომ ხმის მიცემის პროცესი გასაიდუმლოებულია და ეს უფლება უზრუნველყოფილია, ანგარიშსწორების შიშით შეშფოთებული ეს ადამიანები წუხილს გამოთქვამენ, რომ მათ შესაძლოა ვერ შეძლონ

---

23 სისხლისსამართლის კოდექსი 164-ე მუხლი და საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლი საარჩევნო სუბიექტს უკრძალავს საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე მოქალაქეებს შესთავაზოს, დაჰპირდეს ან გადასცეს ფულადი სახსრები ან ქონება. მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო რესურსების სამომავლო განაწილების შესახებ გაკეთებული დაპირებები არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არჩევნების მეორე ტურის წინ მთვარობა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს ქონებით უზრუნველყოფას დაჰპირდნენ, მაგალითად: 780 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს წყალტუბოსა და ზუგდიდში (იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) დაჰპირდნენ საცხოვრებელი კორპუსების აშენებას, ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში არსებული ე.წ. „ლეგიონის ბინებზე“ საკუთრების უფლების გადაცემას და 413 სოციალურად დაუცველი ოჯახის 40,000 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის საპილოტე პროგრამა ზუგდიდში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი).

24 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პარაგრაფის თანახმად „ სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკვეთრი ზღვარი უნდა გადიოდეს“. 2016 წლის ეუთოსა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამინიას უფლებების ოფისისა და ასევე ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებული წინა საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და მსგავს ქმედებებე რეაგირების საერთო სახელმძღვანელო მითითებების II.B 1.1. პუნქტის თანახმად „სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ეფექტური მექანიზმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახელმჭიფო უწყებების მხრიდან მათი მდგომარეობის არასამართლიანი გამოყენება და საარჩევნო მიზნებისთვის ოფიციალური საჯარო ღონისძიებების გამართვა, მათ შორის საქველმოქმედო, ან რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მხარდასაჭერი ანდ საწინააღმდეგო ღონისძიების გამართვა.

25 ორ რეგიონში საჯარო უწყებების თანამშრომლებმა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამინიას უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს აცნობეს რომ მათი ხელმძღვანელი პირები მოითხოვდნენ მათგან იმ ამომრჩეველთა სიების შეგროვებას, რომლებიც სავარაუდოდ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს მისცემდნენ ხმას. მათი თქმით ისინი განიცდიდნენ ზეწოლას, რადგან ეშინოდათ რომ დაკარგავდნენ სამუშაო ადგილებს.

თავისი არჩევანის თავისუფლად დაფიქსირება, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან[26].

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციები მეორე ტურსაც ეხება, თუმცა მეორე ტურში კამპანიის ფინანსების შესახებ ანგარიშების წარდგენის თაობაზე ნათლად ჩამოყალიბებული რეგულაციები არ არსებობს. ამის მიუხედავად, 16 ნოემბერს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (SAO) ანგარიშებისთვის წარსადგენად ორკვირიანი ვადა დააწესა და ჩაბარების თარიღად 22 ნოემბერი და 3 დეკემბერი დაადგინა. ამ დაგვიანებულმა გადაწყვეტილებამ და მეორე ტურის ჩატარების თარიღის გამოცხადებამდე წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციებში სიცხადის ნაკლებობამ ეფექტურად ვერ უზურნველყო წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გვიანი შეტყობინების საფუძველზე, „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა ვერ შეძლო ანგრიშების ჩაბარების ვადების დაცვა. არ არსებობს არანაირი სამართლებრივი დებულება, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ანგარიშების გადამოწმებას ან კენჭისყრის დღეს თავისი დასკვნების გამოქვეყნებას დაავალებდა. ყოველივე ზემოთთქმული ზღუდავს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვრივალობას და ზეგავლენას ახდენს ამომრჩევლების მიერ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას[27].

საანგარიშო პერიოდში შემოწირულობების ყველაზე დიდი წილი „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა მიიღო[28]. „ქართულ ოცნებას“ არ აქვს უფლება მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯი თავის თავზე აიღოს და სწორედ ამიტომ არც ფინანსური ანგარიშის ჩაბარების ვალდებულება გააჩნია. ანგარიშების მომზადების ვალდებულება ასევე არ გააჩნიათ იმ პარტიებს, რომლებიც

---

26 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პარაგრაფის მოთხოვნათა მიხედვით „წინასაარჩევნო კამპანია სამართლიან და თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს. არცერთი ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობიის ან დაშინების ფაქტი არ უნდა იყოს გამოყენებული, რათა პარტიებმა და კანდიდატებისთვის თავისი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმა შეძლონ, ამომრჩევლებს კი ანგარიშსწორების შიშის გამო არ შეეზღუდოთ მათი გაცნობისა და განხილვის, შემდგომში კი ხმის მიცემის შესაძლებლობა. 1996 წლის გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი 25 (პარაგრაფი 19) ამბობს, რომ „ამომრჩევლებმა უნდა შეძლონ თავისი მოსაზრების დამოუკიდებლად, თავისუფლად, ძალადობის, ზემოქმედებისა, ზეწოლისა და რაიმე სახის მანიპულაციის გარეშე ფორმირება.

27 „ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ“ 194 და 206 პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ „გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია. იმისათვის, რომ პარტიებმა ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულად იგრძნონ თავი, ამომრჩევლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათი დაფინანსების წყაროების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე. ფინანსური ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს ფართო საზოგადოებისთვის გასაგები ფორმით“

28 28 ნოემბრის მონაცემებით დაახლოებით 4 436 722 ლარი შესწირეს სალომე ზურაბიშვილს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კი დაახლოებით 781 855 ლარი.

მეორე ტურში არ იღებენ მონაწილეობას, მაგრამ მეორე ტურში მონაწილე რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად სხვადასხვა აქტივობას მართავენ. გარდა ამისა, არ არსებობს მესამე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის მარეგულირებელი კანონმდებლობა ან საჯარო მოძრაობის ან სამოქალაქო ჯგუფების მიერ წინასაარჩევნო მიზნებისთვის ორგანიზებული ღონისძიებების დროს გაწეული დანახარჯების აღრიცხვის ვალდებულება[29].

პირველი ტურის შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლოდან გამოითხოვა ნებართვა 161 შემომწირველის მიერ შემოწირული თანხმების წარმოშობის წყაროების დასადგენად და ამასთან დაკავშირებით გამოკითხა 10 შემომწირველი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე წამოიწყო გამოძიება იმ 6 საჩივარზეც, რომლებიც ხმების ყიდვასთან, არალეგალურ შემოწირულობებთან და ასევე პოლიტიკური პარტიებიდან მიღებულ არაფულად შემოწირულობებთან იყო დაკავშირებული[30]. პირველი ტურის მსგავსად, მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე არცერთი სანქცია არ დაწესებულა. ორივე ტურის შესახებ დაწყებული საქმეების უმეტესობა ისევ მიმდინარეობდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჩივრებზე რეაგირებისთვის გათვალისწინებული შემოკლებულ სამართლებრივ ვადებში მუშაობამ კი წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების ეფექტურობა ეჭვქვეშ დააყენა.

მედია

არჩევნების მეორე ტურში მედიის მარეგულირებელი დებულებები საკანონმდებლო ჩარჩოში ნათლად არ არის გაწერილი. ბუნდოვანია მეორე ტურის ჩატარების თარიღის ოფიციალურ გამოცხადებამდე მედია საშუალებებით წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საკითხიც. 30 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიამმაუწყებლებს აცნობა, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია ძალაში შევიდოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების მეორე ტურის ჩატარების თარიღს ოფიციალურად გამოაქვეყნებდა. ნათელი რეგულაციების არ არსებობის პირობებში, მაუწყებელთა უმეტესობამ არჩია მედიის მარეგულირებლისეული ინტერპრეტაცია გაეთვალისწინებინა და მეორე ტურის ჩატარების თარიღის ოფიციალურ გამოცხადებამდე ეთერში არ გაეშვა წინასაარჩევნო კამპანიის მასალები. ამ პროცესმა ამ მაუწყებლებზე წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობები შეზღუდა. თუმცა, „რუსთავი 2“-მა „ერთიანი ნაციონალური

---

29 ISFED-მა საჩივარი შეიტანა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მოსთხოვა რეაგირება მოეხდინა ორი მოძრაობის „მართალი არჩევანი“ და „მე ვიცავ თავისუფლებას“ მიერ ჩატარებულ აქტივობებზე, რომლებიც ღიად უჭერდა მხარს „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს. მიმდინარეობს გამოძიება.

30 აქ მოიაზრება „ქართული ოცნების მიერ“ „მესამე მხარის“ სახელით სალომე ზურაბიშვილისთვის გაღებული შემოწირულობა, როცა მისი წინასაარჩევნო კამპანიის სარეკლამო დაფებზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილისა და პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის პორტრეტები გამოჩნდა. და ასევე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერი ბროშურების გავრცელება. ეს უკანასკნელი აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა უკანონო შემოწირულობად მიიჩნია და სანქციის დასაწესებლად 26 ნოემბერს სასამართლოს ადმინისტრაციული ოქმი გადაუგზავნა.

მოძრაობის“ უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვება 10 ნოემბერს დაიწყო, განაცხადა რა, რომ ამ სფეროში რეგულაციების ნაკლებობა მათ წინასაარჩევნო კამპანიის მასალების ეთერში გაშვებას არ უზღუდავდა[31].

საარჩევნო კოდექსი ეროვნული მაუწყებლებისგან მოითხოვს, უფასო საეთერო დრო პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებულ იმ კანდიდატებს გამოუყონ, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ[32]. კანონში არსებული შეზღუდვების მიუხედავად, მაუწყებლებს უფლება აქვთ უფასო დრო დაუთმონ პარტიის მიერ დასახელებულ კანდიდატს, რომელსაც არჩევნებამდე ერთი თვის განმავლობაში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში რესპონდენტთა სულ მცირე ოთხმა პროცენტმა დაუჭერა მხარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებების მიხედვით „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ დამოუკიდებელ კანდიდატს უფასო საეთერო დრო არ ეკუთვნის, ყველა ეროვნულმა მაუწყებელმა, „რუსთავი 2“-ისა და ტელეკომპანია „იბერია TV“-ს გარდა, დამოუკიდებელ კანდიდატს თავისი ნებით იმდენივე საეთერო დრო გამოუყო, რამდენიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, რაც მათი განმარტებით თანაბარი პირობების უზრუნველყოფად გააკეთს. . ტელეკომპანია „იმედმა“ უფასო საეთერო დრო არ გამოუყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, რადგან არხი პარტიას 2007 წელს ტელევიზიაში შეჭრაში დებს ბრალს. ორივე ოპონენტმა უფასო და ფასიანი საეთერო დრო ნეგატიური კამპანიისთვის უფრო გამოიყენა, ვიდრე საკუთარი კანდიდატურის რეკლამირებისთვის[33].

დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ არჩევნების მეორე ტურის შესახებ განხორციელებული მედია მონიტორინგის შედეგები ადასტურებენ, რომ ძირითადი მედია საშუალებების მკვეთრი პოლარიზაცია არც მეორე ტურში შეცვლილა[34]. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ტელეკომპანი „იმედი“, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ აქტიურად იმუშავებდა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

---

31 მედიის მარეგულირებელმა ორგანომ „რუსთავი 2“-ის გადაწყვეტილება თავისი საეთერო დრო ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის მეორე ტურის ჩატარების თარიღის ოფიციალურად გამოცხადებამდე დაეთმო უკანონოდ მიიჩნია და ტელეკომპანიას გაფრთხილება მისცა.

32 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.8 პარაგრაფის მიხედვით მონაწილე ქვეყნებმა უნდა დაადასტურონ, რომ „არ იარსებებს არანაირი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაბრკოლება, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მსურველ არცერთ პოლიტიკური ჯგუფებსა თუ პირის, არადისკრიმინაციულ საფუძველზე ხელს შეუშლის მედიაზე თავისუფალ წვდომაში.

33 ტელეკომპანია „ობიექტივმა“ პირნათლად შეასრულა კანონის მოთხოვნა, უფასო საეთერო დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, მან „ენმ“-ს ყველა რეკლამის შემდეგ ეთერში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პარტიის წევრთა მოწოდებები გაუშვა, რომლებშიც ისინი „ენმ“-ს გმობდნენ და ამით აბათილებდნენ მათი რეკლამების შინაარსს. ტელეკომპანია „ობიექტივმა“ ეთერში გაუშვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართული, ნეგატიური შინაარსის მქონე უწარწერო პოლიტიკური რეკლამები და საზოგადოებას „ენმ“-ს წინააღმდეგ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდა. ამ ბოლო ქმედებისთვის არხი დაჯარიმდა.

34 დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ განაახლა ექვსი მაუწყებლის („საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“, „ტელეკომპანია აჭარა“, „რუსთავი 2“, „ტვ იმედი“, „ტვ პირველი“ და „ტელეკომპანია იბერია“) საუკეთესო საეთერო დროის თვისებრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. ოქტომბერში ტელეკომპანია „ობერიასთვის“ საეთერო მაუწყებლობის დროებითი შეწყვეტის შემდეგ, არხმა საინფორმაციო პროგრამები გააუქმა და პერსონალი დაითხოვა.

კანდიდატისთვის და საუკეთესო საეთერო დრო და მიმდინარე მოვლენების ამსახველი გადაცემები „ენმ“-სა და მისი კანდიდატის დაგმობას დაეთმო[35]. მათ მიერ გაშუქებული ახალი ამბების დაახლოებით 34 პროცენტი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო განსაკუთრებულად ნეგატიური ტონით მაშინ, როცა „ქართული ოცნებას“ და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს შესაბამისად 23 და 9 პროცენტი დაეთმო, ძირითადად დადებითი ან ნეიტრალური ტონით. „რუსთავი 2“ განსაკუთრებით ძლიერად დაგმო ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი, რომლებსაც შესაბამისად გაშუქების 17, 32 და 9 პროცენტი დაეთმო, უმეტესწილად ნეგატიურად მაშინ, როცა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 24 პროცენტი დაეთმო ძირითადად ნეიტრალური ტონით.

საჯარო მანდატის, სამართლებრივი ვალდებულებებისა და საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, საზოგადოებრივი მაუწყებელის „პირველმა არხმა“ მკვეთრად გამოავლინა თავისი მიკერძოებულობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი კანდიდატის წინააღმდეგ[36]. ამავე დროს „ქართული ოცნების“ და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მხარდამჭერა გამოხატა. მიუხედავად იმისა, რომ არხმა სამართლიანად გადაანაწილა ახალი ამბების გაშუქების დრო და შესაბამისად დაახლოებით 30-30 პროცენტი დაუთმო ორივეს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებასა“ და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს ერთად, გაშუქების ტონი მკვეთრად განსხვავდებოდა და უმეტესად ნეგატიური იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მაშინ, როცა „ქართული ოცნებისა“ და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მიმართ უფრო დადებითი ან ნეიტრალური იყო. საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველმა არხმა“ და ტელეკომპანია „იმედმა“ პოლიტიკური სიახლეების გაშუქებისთვის განკუთვნილი საეთერო დროის ერთი მეოთხედი მთავრობის აქტივობების გაშუქებას დაუთმო და ყურადღება გაამახვილა მთავრობის მიერ ინიცირებულ სამომავლო სოციალურ პროგრამებზე. ტელეკომპანია„პირველმა“ თავის საინფორმაციო გადაცემებში ორივე პარტიისა და ორივე კანდიდატს შედარებით ნეიტრალური და ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება შემოგვთავაზა. მათი ტოკ-შოუები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის

---

35 ტელეკომპანია „იმედმა“ ახალი ამბების გადაცემაში და თავის ვებგვერდზე გამოაცხადა, რომ თუ მეორე ტურში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი იმარჯვებს, ის შეიწყალებს „ყველას, ვისი სახელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივ რეჟიმს უკავშირდება. ძალადობა, ბიზნესების წართმევა, ტელევიზიაში შეჭრა“.

36 მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებლები ვალდებულნი არიან „უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)15 წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების საშუალებების შესახებ საჯარო უწყებების საკუთრებაში არსებულ მედია საშუალებებს ურჩევს, წინასაარჩევნო კამპანია გააშუქონ „სამართლიანად, დაბალანსებულად და მიუკერძოებლად და თავი აარიდონ რომელიმე მხარის მიმართ დისკრიმინაციულ ან კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას“. მედიისა და არჩევნების შესახებ 2009 წლის გაეროს სპეციალური წარმომადგენლის განცხადება „აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და ეუთოს წარმომადგენლის განცხადება „მედიის თავისუფლების შესახებ“ ხაზგასმით აღნიშნავს,, რომ მედია „მკაცრად უნდა იცავდეს მიუკერძოებლობის და დაბალანსებული სარედაქციო პოლიტიკის პრინციპებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინასაარჩევნო ოერიოდში სახელისუფლებო პარტი(ებ)ის ან სამთავრობო გადაწყვეტილებების და აქტივობების გაშუქებას იწყებს“

გამართული ცხარე და ემოციური დისკუსიების პლატფორმად გადაიქცა. „აჭარის ტელევიზიის“ გაშუქება უმეტესწილად ნეიტრალური იყო, თუმცა არხმა „ქართულ ოცნებასა“ და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს ბევრად მეტი დრო დაუთმო, შესაბამისად 27 და 4 პროცენტი მაშინ, როცა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ 19 პროცენტი დაეთმო.

საჩივრები და სარჩელები

28 ოქტომბერს ჩატარებული კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით, საოლქო საარჩევნო კომისიებში 669 საჩივარი შევიდა, რომელთა უმეტესობაც ხმის მიცემის პროცესში დაფიქსირებული პროცედურული დარღვევებსა და შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და მათი შევსების გზებს შეეხებოდა[37]. 137 შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრები სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, დაახლოებით 320 საჩივარი არ დაკმაყოფილდა საფუძვლის ნაკლებობის გამო. სულ 162 საჩივარს ეთქვა უარი პროცედურულ საფუძველზე, როგორიც არის: გასაჩივრების უფლების არქონა, საჩივრის სხვა ორგანოსთვის/უწყებისთვის ჩაბარება ან ვადის დარღვევა. ამ შემთხვევებმა ცხადყო, რომ მომჩივანთა უმეტესობა სრულყოფილად არ იცნობს საჩივრების მომზადების პროცედურებს.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრები ყველა სამართლებრივი ვადის დაცვით ღია და გამჭვირვალე სხდომებზე განიხილეს. ბევრ შემთხვევაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა შედეგების ოქმები თავად ჩაასწორეს (რითიც ფორმალურად აღმოფხვრეს დარღვევა) ან ისეთ შემთხვევებში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა საჩივრებს ახსნა-განმარტებითი შენიშვნები დაურთეს, არ მოხდა საჩივრების შინაარსის საფუძვლიანად განხილვა. რამდენიმე შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა არაერთგვაროვნად განმარტეს კანონი და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის სანქციების დაწესების პრაქტიკა არაერთგვაროვნად გამოიყენეს[38]. ცესკომ არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე არ დააკმაყოფილა სამი საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების შესახებ.

ცესკოს ორი გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმებისა და საოლქო საარჩენო კომისიის 13 გადაწყვეტილების შესახებ გასაჩივრდა რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში, 8 საქმე კი სააპელაციო სასამართლომ განიხილა. სარჩელის ავტორების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაკლებად სჯეროდათ იმის, რომ აღნიშნული სარჩელები დაკმაყოფილდებოდა, ზოგიერთი სარჩელი უმეტესწილად კანონში არსებული ხარვეზების წარმოსაჩენად მომზადდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მსგავსი სარჩელი არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე არ დაკმაყოფილდა, ზოგ

[37] დაახლოებით 340 საჩივარი შეიტანეს ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, დანარჩენი კი პოლიტიკური პარტიებმა. საჩივრების უმეტესობა ქუთაისში, საბურთალოსა და კრწანისის რაიონებსა და მარნეულში მდებარე საოლქო საარჩევნო კომისიებში შევიდა. არ დაკმაყოფილდა ცნობილი ოცდაერთივე (21) საჩივარი, რომელიც ხმების გადათვლის თაობაზე იყო შესული

[38] ეს შემთხვევები შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს, რომლებმაც უარი განაცხადეს წილისყრაში მონაწილეობაზე; საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებზე, ბეჭდის არარსებობის გამო და ამ ოქმებში შეტანილ ცვლილებებზე.

შემთხვევაში მოსამართლეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში კანონი შესაძალოა გადაიხედოს აღშნიშნული ხარვეზების შესავსებად [39].

პირველსა და მეორე ტურს შორის პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიებში წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების წესების დარღვევის შესახებ და საუბნო საარჩევნო კომისიების უბნის წევრების/ხელმძღვანელი პირების ადგილზე არყოფნასთან დაკავშირებით 54 საჩივარი შევიდა. 8 საჩივარი არ დაკმაყოფილდა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, 46 საჩივრის განხილვა კი ახლაც მიმდინარეობს[40]. ცესკოში სამი საჩივარი შევიდა: მათ შორის ორი წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევებზე და ერთი სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე. ეს უკანასკნელი არ დაკმაყოფილდა საჩივრის წარმოდგენის ვადის დარღვევის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრების შემდეგ ძალაში დარჩა.

საერთო ჯამში საჩივრების განხილვის პროცესი მოკლებული იყო მათი შინაარსის/არგუმენტაციის სათანადო განხილვას, კომისიები კანონის ძალიან ვიწრო ან არაერთგვაროვან განმარტებებს იყენებდნენ, რამაც უარყოფითი ზეგავლენა იქონია სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალების უფლების უზრუნველყოფაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპის წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკასთან[41]

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

ცესკომ დარეგისტრირებულ დამკვირვებლებსა და მედია საშუალებების წარმომადგენლებს უფლებამოსილების ვადა მეორე ტურშიც გაუგრძელდა და დამატებითი წარმომადგენლების დასარეგისტრირებლად დრო 22 ნოემბრამდე გამოუყო სულ, 58 ორგანიაციიდან დარეგისტრირებულ 1 328 საერთაშორისო დამვკრივებელს, 73 ორგანიზაციიდან დარეგისტრირებულ 48 343ადგილობრივ დამკვირვებელსა და 95 მედია საშუალების წარმომადგენელ 2 406 ჟურნალისტს ჰქონდა არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობა. მეორე ტურში საარჩევნო უბნებზე მხოლოდ მეორე ტურში მონაწილე პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებსა და კანდიდატებს ჰქონდათ წარმომადგენელთა წარგზავნის შესაძლებლობა. შედეგად, ორივე მხარის წარმომადგენელმა სხვა ერთეულებმა თავისი წარმომადგენლები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების საშუალებით დაარეგისტრეს, რათა საარჩევნო უბნებზე უფრო დიდი რაოდენობით ყოფილიყვნენ წარმოდგენილები. სამოქალაქო საზოგადოების

---

39 ეს საქმეები შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს, რომლებმაც უარი განაცხადეს წილისყრის პროცესში მონაწილეობაზე და მათ მონაწილეობას შემდგომ საარჩევნო პროცესში, უხეში დარღვევის განსაზღვრებას, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებას და საოლქო საარჩევნო კომისიის დისკრეცია დააწესოს სანქციები.

40 ცესკოში შევიდა ერთი საჩივარი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების წესების დარღვევას შეეხებოდა, რომელიც ჯერაც განხილვაშია.

41 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10 პარაგრაფის მიხედვით "ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური საშუალებები, რათა დაცული იყოს ფუნდამენტური უფლებები და კანონის მთლიანობა. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებები II.3.3b. სექციის მიხედვით, „ეს პროცედურა მარტივი უნდა იყოს და არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათ, განსაკუთრებით საჩივრების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას".

წარმომადგენელი ორგანიზაციების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების ეს ფაქტი უარყოფითად აისახა ამ ორგანიზაციების გამჭვირვალობის აღქმასა და, ზოგადად, საარჩევნო პროცესში მათ მიერ შესრულებულ როლზე.

კენჭისყრის დღე

დაძაბული კონკურენტული ფონის მიუხედავად არჩევნები პროცედურების დაცვით ჩატარდა. თუმცაღა, დაფიქსირდა რამდენიმე ძალადობრივი შემთხვევა, რომელთა გამოძიებაც ძალაოვანმა სტრუქტურებმა უკვე დაიწყეს[42]. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის განცხადებით, წინასწარი მონაცემებით არჩევნებზე მოსახლეობის აქტიურობამ 56.23 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად მაღალია პირველ ტურში დაფიქსირებულ აქტიურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ზოგადად კარგად იყო ადმინისტრირებული, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები შეაშფოთა საარჩევნო უბნებს გარეთ არსებულმა მდგომარეობამ, რასაც შესაძლოა ზემოქმედება მოეხდინა ამომრჩევლების შესაძლებლობაზე, თავისუფლად და ანგარიშსწორების შიშის გარეშე გაეკეთებინათ არჩევანი.

82 საარჩევნო უბანზე, რომლებსაც დამკვირვებლები დააკვირდნენ, საარჩევნო უბნის გახსნა 5-ის გარდა ყველა უბანზე დადებითად შეფასდა. მეორე ტურში აღნიშნულ 82 უბანზე მცირე დაგვიანებები შეინიშნა.ისევ დაფიქსირდა პროცედურული დარღვევები რამდენიმე კონკრეტულ საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელმაც დაზუსტებით არ გამოაცხადა ამომრჩეველთა სიაში არსებული ამომრჩევლების (12 შემთხვევა) ან მიღებული ბიულეტინების (21 შემთხვევა) ზუსტი რაოდენობა. პირველ ტურის მსგავსად, ოპოზიციის მიერ დასახელებული რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრმა უარი განაცხადეს ფუნქციების გადასანაწილებელ წილისყრაში მონაწილეობაზე ან უარი თქვეს შერჩეული ფუნქციის შესრულებაზე, რაც ახსნეს იმით, რომ მათ არ სურდათ გაჰყოლოდნენ გადასატან საარჩევნო ყუთს (მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 14 პროცენტში).

738 საარჩევნო უბანზე, რომლებსაც დამკვირვებლები დააკვირდნენ, საარჩევნო უბანის გახსნა 97 პროცენტში დადებითად შეფასდა. ზოგადად, პროცედურები კარგად იყო დაცული, თუმცა საარჩევნო პროცესის ერთი ასპექტი - ზოგადი საარჩევნო გარემო - უარყოფითად შეფასდა დაკვირვების ქვეშ არსებული საარჩევნო უბნების 10 პროცენტში. უარყოფითი შეფასება მეტწილად გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: უბნები ხალხით იყო გადავსებული (57 შემთხვევა), დაძაბულობა შეიმჩნეოდა საარჩევნო უბნის შიგნით (21 შემთხვევა), დაფიქსირდა ადგილობრივი დამკვირვებლებისა და ორივე კანდიდატის წარმომადგენელთა მხრიდან საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ჩარევა (24 შემთხვევა). კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელი მოქმედი მოწმობის არქონის ან ამომრჩეველთა სიაში არ არსებობის

[42] იგულისხმება ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტზე თავდასხმა, ფიზიკური დაპირისპირება საარჩევნო უბნების შენობებში მცხეთაში, ვაკეში, ბათუმში, ლილოსა და ადიგენში, ხმის რამდენჯერმე მიცემის მცდელობა ქვემო ქართლში და ხმის მიცემის პროცესის ფარულობის წესის დარღვევა აბაშაში. მარნეულში დაფიქსირდა დაპირისპირების ფაქტი გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერებსა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის.

შემთხვევაში მოქალაქეებს ხმის მიცემაზე უარი ეთქვათ 17 და 15 შემთხვევაში[43]. იმის გამო, რომ სასაზღვრო ზოლი გაიხსნა სოხუმსა და ზუგდიდს შორის, პირადობის დამადასტურებელი მოქმედი მოწმობის მქონე მოქალაქეებს მიეცათ ხმის მიცემის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის დღეს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება არ არის აკრძალული, „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ სატელეფონო ზარებისა და ტექსტური შეტყობინებების ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო. პირველი ტურის მსგავსად, დაკვირვებამ დაადასტურა, რომ არსებობს კოორდინატორთა მექანიზმი, რომელზე დაყრდობითაც კანდიდატები იმ ამომრჩეველთა სიებს აგროვებენ, ვისგანაც არჩევნებში მხარდაჭერას მოელიან. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა დაკვირვების არეალში არსებული საარჩევნო უბნების 15 პროცენტში დამკვირვებლება საარჩევნო უბნებს გარეთ დააფიქსირეს ამგვარი მექანიზმის მუშაობის შემთხვევები. კოორდინატორები საარჩევნო უბნებს გარეთ ახორციელებდნენ ორივე კანდიდატების მხარდამჭერი ამომრჩევლების ხმების დეტალურ შესწავლას, თუმცა ეს პრაქტიკა უფრო ხშირად „ქართული ოცნების" მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ იყო ამოქმედებული. ბევრ შემთხვევაში, კოორდინატორებს თან ჰქონდათ ამომრჩეველთა სიები და ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისულ ამომრჩეველზე. დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ბევრ უბანზე კოორდინატორთა საქმიანობას მუნიციპალური უწყებები უწევდნენ ზედამხედველობას. რამდენიმე შემთხვევაში ასეთ სიებზე დატანილი იყო ამომრჩეველთა ფოტოებიც სწორედ ისე, როგორც ცესკოს მიერ პარტიებისთვის მიწოდებულ ამომრჩეველთა სიების ოფიციალურ ვერსიებშია წარმოდგენილი. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ან ადგილობრივი დამკვირვებლები ამომრჩევლებს სთხოვდნენ მათ მიერ შემოხაზული საარჩევნო ბიულეტინის წარმოდგენას. ამ შემთხვევებმა კიდევ უფრო გააძლიერა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ზეწოლისა და ანგარიშსწორების შიშის გამო ამომრჩევლებს ეზღუდებათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

პარტიების წარმომადგენლები და ადგილობრივი დამკვირვებლები წარმოდგენილები იყვნენ დამკვირვებელთა დაკვირვების ქვეშ არსებული საარჩევნო უბნების 93 პროცენტში, რაც ხელს უწყობდა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას. ვინაიდან მეორე ტურში პარტიების წარმომადგენელთა რაოდენობა შეზღუდული იყო, ორივე კანდიდატმა თავისი მომხრეები საარჩევნო უბნებზე ადგილობრივი დამკვირვებლების რანგში მაივლინა. იმ საარჩევნო უბნების 52 პროცენტში, რომლებსაც დამკვირვებლები დააკვირდნენ, საერთაშორისო დამკვირვებლებმა ცხადად დააფიქსირეს, რომ ადგილობრივი დამკვირვებლები სინამდვილეში პარტიულ ინტერესებს იცავდნენ.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი მათი დაკვირვების ქვეშ არსებული 77 საარჩევნო უბანიდან 67 უბანში დადებითად შეაფასეს. საუბნო საარჩევნო კომისიები ძირითადად ზუსტად იცავდნენ პროცედურებს, თუმცა დამკვირვებლებმა

[43] ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ პატიმართა დიდმა რაოდენობამ შეძლო ხმის მიცემა, რადგან მათ პირადობის დამადასტურებელი ახალი მოწმობები დაუმზადეს (მეორე ტურში ხმა მიცემა შეძლო 546-მა პატიმარმა, პირველ ტურში კი 132-მა).

დააფიქსირეს პროცედურული დარღვევები[44]. 11 შემთხვევაში დაფიქსირდა ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლების ხმების დათვლის პროცესში ჩარევის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ არის აკრძალული, საარჩევნო უბნების ორ მესამედში დამატებითი ნიშნების შემცველი საარჩევნო ბიულეტინები ისევ ნამდვილად ჩაითვალა, რაც ამომრჩევლის იდენტიფიცირების პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის. იმ საარჩევნო უბნების ერთ მესამედში, რომლებსაც დამკვირვებლები დააკვირდნენ, არცერთი ოპონენტის წარმომადგენლებს არ დაეკისრათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დახმარება ხმების დათვლის პროცესში, რაც არღვევს არჩევნების მეორე ტურისთვის დადგენილი პროცედურების ჩატარების წესებს[45]. ხმების დათვლის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობდა დამკვირვებლებისა და ორივე კანდიდატის წარმომადგენლებისთვის. ამავე დროს, პირველი ტურის მსგავსად, 71-დან 30 საარჩევნო უბანში საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები საჯაროდ არ გახსნილა, რამაც შეზღუდა პროცესის გამჭვირვალობა.

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით ხმების გადათვლის პროცესი კარგად იყო ორგანიზებული და ეფექტურად მიმდინარეობდა. ეს პროცესი დაკვირვების ქვეშ მყოფ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში დადებითად შეფასდა[46]. რამდენიმე დაფიქსირებულ ხარვეზში დაძაბულობის გამომწვევ მიზეზად დასახელებული იყო შენობის შეუსაბამობა. საუბნო საარჩევნო კომისიების მონაცემები ყოველთვის არ იყო შეჯერებული, და მათი მოწოებული მასალები არ იყო მთელი/დაუზიანებელი. საერთაშორისო დამკვირვებლების დაკვირვებით ხმების გადათვლის პროცესს იმდენივე ადგილობრივი დამკვირვებელი ესწრებოდა, რამდენიც ხმის მიცემის პროცესს მაშინ, როცა პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლები პროცესს დაკვირვების ქვეშ მყოფი 64 საუბნო საარჩევნო უბნიდან 21 შემთხვევაში საერთოდ არ დასწრებიან.

საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული 288-ზე მეტი საჩივარი შევიდა, რომლებშიც საუბარი იყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ფუნქციების გადანაწილებისას, გადასატან საარჩევნო ყუთთან, ამომრჩეველთა მარკირებასთან და ხმის მიცემის პროცესის ფარულობასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ სავარაუდო პროცედურულ დარღვევებზე. ზემოთაღნიშნული საქმეების უმეტესობაზე მიმდინარეობს განხილვა[47]. საჩივრების უმეტესობა შეიტანა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სავარაუდო დარღვევების ფაქტების თერთმეტ საქმეზე გამოძიება

---

44 დამკვირვებლების დაკვირვების ქვეშ მყოფ 22 საუბნო საარჩევნო კომისიაში სადავო საარჩევნო ბიულეტენები კენჭისყრის გარეშე ჩაითვალა ნამდვილად, 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში ბათილად არ სცნეს გამოუყენებლი საარჩევნო ბიულეტინები, არასდრულად შევსებულ ოქმებს ხელი 6 საუბნო საარჩევნო კომისიაში მოეწერა, 8 საუბნო საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლის პროცესის დაწყების წინ არ მოხდა საარჩევნო ყუთების შიგთავსის გადარევა, 9 საუბნო საარჩევნო კომისიაში კი საარჩევნო ბიულეტინზე დაფიქსირებული ხმა არ გამოცხადდა ხმამაღლა.

45 რამდენიმე შემთხვევაში ეს მოხდა იმიტომ, რომ წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ.

46 ზოგიერთ შემთხვევაში,საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების შესვლის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმების გადათვლის პროცესი დილამდე შეწყდა

47 29 ნოემბრის მონაცემებით შემთხვევების უმეტესობაში დისციპლინური სანქციების დაწესებას ითხოვენ, სამ შემთხვევაში კი შედეგების გაბათილებას.

დაიწყო, მათ შორის არის ფიზიკური ძალადობის, ხმის რამდენჯერმე მიცემისა და ხმის მიცემის პროცესის ფარულობის წესის დარღვევის ფაქტები.

წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი წარმოადგენს ინგლისურ ენაზე შედგენილი ანგარიშის არაოფიციალურ თარგმანს.

ინფორმაცია მისიის შესახებ & სამადლობელი სიტყვა

2018 წლის 29 ნოემბერი - წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ევროპის საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. არჩევნების შეფასების მიზანს წარმოადგენდა ევროპის ვალდებულებებსა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, ასევე დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ევროპის თავმჯდომარის მიერ ევროპის მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელად და სპეციალურ კოორდინატორად კრისტიან ვიგენინი დაინიშნა. მარგარეტა სერდერფელტი კი ევროპის საპარლამენტო დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ევროპარლამენტის დელეგაციას კი - ლაიმა ლიუსია ანდრიკიენე. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას (PACE) ხელმძღვანელობდა ანდრეი ჰუნკო. ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, რომელიც 19 სექტემბერს შეუდგა მუშაობას, ელჩი გერტ-ჰინრიხ არენსი ხელმძღვანელობს.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში ჩართული ყველა უწყება (IEOM) მხარს უჭერს არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო პრინციპების 2005 წლის დეკლარაციას. წინამდებარე დოკუმენტი წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე ქვეყნდება. არჩევნების საბოლოო შეფასება დამოკიდებული იქნება ნაწილობრივ საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების ჩატარებაზე, მათ შორის, ხმების დათვლის, გადათვლისა და შედეგების გამოცხადების, ასევე, სავარაუდოდ, არჩევნების დღის შემდეგ შემოსული საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე. საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის შემდეგ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ODIHR გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად. ევროპის საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს წარმოადგენს ზამთრის სხდომაზე ვენაში 2019 წლის 22 თებერვალს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ანგარიშს წარმოადგენს პლენარულ სხდომაზე სტრასბურგში 2019 წლის იანვარში. ევროპარლამენტი საკუთარ ანგარიშს წარმოადგენს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ბრიფინგზე.. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს წარმოადგენს ყოველწლიურ სხდომაზე ჰალიფაქსში, კანადაში 2018 წლის 18 ნოემბერს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დედაქალაქში წარმოდგენილი 14 ექსპერტისა და ქვეყნის მასშტაბით გადანაწილებული 22 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება. არჩევნების დღეს 32 ქვეყნის წარმომადგენელი 215 დამკვირვებელი, მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 185 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი და ასევე 11 წევრისგან შემდგარი ეუთოს საპარლამენტო დელეგაცია, 10 წევრისგან შემდგარი ევროსაბჭოს საპარლემენტო დელეგაცია და 5 წევრისგან შემდგარი ევროპარლამენტის დელეგაცია ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდა. უბნების გახსნას ქვეყნის მასშტაბით 82 საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ, ხმის მიცემის პროცესს კი 738 უბანზე. ხმების დათვლას 77 საარჩევნო უბანზე, ხმების გადათვლას კი - 64 საოლქო საარჩევნო კომისიაში დააკვირდნენ.

სადამკვირვებლო მისიის წევრებს სურთ მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. მისია ასევე თანამშრომლობისთვის ღრმა პატივისცემას გამოხატავს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

- ODIHR სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ელჩ გერტ-ჰინრიხ არენსს თბილისში (+995 591 176 476);
- ODIHR-ის სპიკერს ტომას რაიმერს (+48 609 522 266) ან ODIHR-ის მრჩეველს საარჩევნო საკითხებში ოლექსი ლიჩკოვახს, ვარშავაში (+48 601 820 410);
- ირინა საბაშუკს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (+45 60 10 81 73);
- ჩემავონ ჩაჰბაზიან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა PACE (+995 591 716 333; ან +33 (0) 6 50 68 76 5533);
- კარლ მინერს, ევროპარლამენტი (+32 477 854 578).

ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
ვერცხლის ქ. #1, 0105 თბილისი
ტელ: +995 591 176 530
ელ-ფოსტა: office@odihreom.ge
ვებგვერდი: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/396326